პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ თებერვალი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით განსაკარგი უძრავი ქონებების საწყისი წლიური სარგებლობის საფასური, თანახმად დანართისა.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. კომახიძე) მიეცეს თანხმობა წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტის განკარგვის შესახებ და განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

დანართი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2020 წლის ---- N--- განკარგულება

სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასური

N	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი წლიური სარგებლობის საფასური (ლარი)
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)	
1	ქ. ბათუმი, თავდადებულის ქ. N32/ზუბალაშვილის ქ. N26	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საპირფარეშო)	05.22.46.008	30	14,42	1 600
2	ქ. ბათუმი, ს. ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარედ, შინდისის გმირების სახელობის სკვერი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საპირფარეშო)	05.26.04.103	53	12,85	1 200
3	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი N1)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.26.615	3612,00	-	216720,00
4	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი N2)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.26.618	3705,00	-	222300,00
5	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.26.620	3709,00	-	222540,00
6	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი N4)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.26.621	3993,00	-	239580,00
7	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი N5)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.26.622	4066,00	-	243960,00
8	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი N6)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.26.623	3943,00	-	236580,00
9	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი N7/2) და (სექტორი N7/1)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.26.629	3592,00	-	215520,00
10	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი N10)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.564	5485,00	-	329100,00
11	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი N9)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.565	5247,00	-	314820,00
12	ქ. ბათუმი, დასახლება კვარიათი (სექტორი N8)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.566	6413,00	-	384780,00
13	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N25)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.573	4200,00	-	252000,00
14	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N24)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.574	3781,00	-	226860,00
15	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N23)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.575	3552,00	-	213120,00
16	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N22)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.576	3624,00	-	217440,00
17	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N21)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.577	3723,00	-	223380,00
18	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N20)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.578	3237,00	-	194220,00
19	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N19)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.579	2934,00	-	176040,00
20	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N11)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.586	6060,00	-	363600,00
21	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N12)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.587	6587,00	-	395220,00
22	ქ. ბათუმი, დასახლება გონიო (სექტორი N13)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.36.24.590	4955,00	-	297300,00

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადების შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი ერთეული საზოგადოებრივი საპირფარეშოს სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განკარგვის მიზნით, ქონების (მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა.

ა.ბ) პროექტის არსი: ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრა:

1. თავდადებულის ქ.N32/ზუბალაშვილის ქ. N26; ს/კ N05.22.46.008; აუდიტი: Nბთ/მ-169; 20.12.2019წ.: 439 კვმ მიწიდან 30 კვმ მიწა - 19500,0 ლრ. და 14,42 კვმ შენობა - 12257,0 ლრ.; სულ 31757,0 ლრ. – 5% = **1587,85** ლრ.; (განისაზღვროს - **1600,0** ლრ.);

2. ს. ხიმშიაშვილის ქ., შინდისის სკვერი; ს/კ N05.26.04.103; აუდიტი: Nბთ/მ-170; 20.12.2019წ.; 53 კვმ მიწა - 13250,0 ლრ. და 12,85 კვმ შენობა - 9637,5 ლრ.; სულ 22887,5 ლრ. – 5% = **1144,38** ლრ.; (განისაზღვროს - **1200,0** ლრ.);

3. გონიო-კვარიათის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პლაჟების მონაკვეთების (20 ერთ.) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებიდან (აუდიტი: ბთ/მ-8 .... ბთ/მ-27; 11.02.2020წ.) გამომდინარე 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საწყისი სარგებლობის საფასური (5%) შეადგენს **49,25 – 57,0** ლარს; (განისაზღვროს **1 კვმ-ზე** საწყისი სარგებლობის საფასურის სახით **60 ლარიდან** დაანგარიშებით ცხრილის მიხედვით).

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი, ქონების სარგებლობის საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ".

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **დავით კოპინაძე**